საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრი

ქ. ბათუმი „31" 12 2014 წ.

ბრძანება № 12/155

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებული ქვეპროგრამის - ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფა" განხორციელების მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 8 მაისის №4 დადგენილებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის ,,გ" ქვეპუნქტისა და მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „მ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განცხადების ტექსტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის შესრულებაში მონაწილეობის მსურველ პირთათვის, თანახმად №1 დანართისა.

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის სოციალური ვაუჩერის თანდართული ფორმა.

გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის სოციალური ვაუჩერის გაცემისა და გამოყენების წესი, თანახმად №2 დანართისა.

დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში მიწოდებული საქონლის ჩამონათვალის ფორმა, თანახმად №3 დანართისა.

ე) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესი, თანახმად №4 დანართისა.

2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში მოქალაქის დაფინანსებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების მიზნით შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ზურაბ თენიეშვილი (მინისტრის მოადგილე) -კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ლელა სურმანიძე (სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსი) - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) მერაბ ხალვაში (სოციალური დაცვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი)- წევრი.

დ) ბეჟან იშხნელიძე (სოციალური დაცვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი) - წევრი.
ე) ანა მელაშვილი (იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი) - წევრი;

3. კომისიის სხდომების ორგანიზაციული-ტექნიკური უზრუნველყოფისა და ოქმების წარმოების მიზნით კომისიის მდივნად დაინიშნოს სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - ლამარა ტაკიძე.

4. კომისიამ თავისი საქმიანობა განახორციელოს საჭიროებისამებრ სხდომების მეშვეობით. სხდომებს იწვევს და ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი; სხდომაზე დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, წევრები და მდივანი.

5. კომისიამ უზრუნველყოს:
ა) წარმოდგენილი დოკუმენტაციის ქვეპროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
ბ) არასრულყოფილად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემთხვევაში მოქალაქის ინფორმირება, იმის თაობაზე, თუ რა საბუთი ან საბუთები აქვს წარმოსადგენი.
გ) დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სოციალური ვაუჩერის მომზადება და ხელმოსაწერად უფლებამოსილი პირისათვის წარდგენა.

6. კომისიამ თავისი საქმიანობა წარმართოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის, მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე ბრძანების შესაბამისად.

7. ბრძანების შესაბამისი პირებისადმი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა დაევალოს სამინისტროს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ი. მახარაძე).

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში ერთი თვის ვადაში (მის.: ქ. ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას ქ. №9) და შემდეგ, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა №30), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ბრძანება ძალაშია 2015 წლის 01 იანვრიდან.

მ ი ნ ი ს ტ რ ი ნუგზარ სურმანიძე

დანართი №2

„დამტკიცებულია"
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის 2014 წლის
31-12---- №121/155 ---- ბრძანებით

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის სოციალური ვაუჩერის გაცემისა და გამოყენების წესი

ბენეფიციარი ან ბენეფიციარის წარმომადგენელი განცხადებით და თანმხლები დოკუმენტებით (სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული სამედიცინო ცნობა ფორმა №IV-100/ა, სადაც მითითებული უნდა იყოს სავარძელ-ეტლის საჭიროება; პირადობის მოწმობის ასლი; საჭიროებისას სხვა ბენეფიციარის დამადასტურებელი საბუთის ასლი) მიმართავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

არასრულყოფილად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემთხვევაში განმცხადებელს ეძლევა შესაბამისი განმარტება და ვადა საჭირო საბუთების წარმოსადგენად.

ქვეპროგრამის არაბენეფიციარებს წერილობით ეცნობება დახმარებაზე უარის შესახებ.

ქვეპროგრამის ბენეფიციარის სრულყოფილი დოკუმენტაციის საფუძველზე გაიცემა სოციალური ვაუჩერი.

მომსახურება დაფინანსდება ვაუჩერში მითითებული თანხით (300 ლარი) სრულად. იმ შემთხვევაში, თუ სავარძელ-ეტლის ღირებულება აღემატება ქვეპროგრამით გათვალისწინებულ თანხას, სხვაობას გადაიხდის ბენეფიციარი. იმ შემთხვევაში, თუ სავარძელ-ეტლის ღირებულება ნაკლებია ქვეპროგრამით გათვალისწინებულზე, ანაზღაურება განხორციელდება ფაქტიური ღირებულების მიხედვით.

მომსახურება გაეწევა იმ პაციენტებს, რომლებიც ფლობენ სრულად შევსებულ ვაუჩერს. ვაუჩერის ("ბ" ნაწილი) უნდა ინახებოდეს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელთან.

ქვეპროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ქვეპროგრამის ფარგლებში სავარძელ-ეტლის გაცემისას უპირატესობა ენიჭებათ 18 წლამდე ასაკის ბავშვებსა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მოქალაქეებს.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა, სადაც მითითებული უნდა იყოს სავარძელ-ეტლის საჭიროება;
- ბენეფიციარის მიერ შერჩეული სავარძელ-ეტლის ღირებულების წინასწარი ანგარიშ-ფაქტურა:
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი ცნობის ასლი (არსებობის შემთხვევაში)

წარმოდგენილ კორესპოდენციას განიხილავს შესაბამისი კომისია, კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარედგინება მინისტრს ან მინისტრის მოადგილეს. დადებითი გადაწყვეტილების შემდეგ გაიცემა სოციალური ვაუჩერი.

ვაუჩერის მოქმედების ვადა განისაზღვრება ერთი თვით, თუ თვით ამ ვაუჩერში სხვა ვადა არ არის განსაზღვრული.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტრო

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა
გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფა

ა

სოციალური ვაუჩერი №---

ბენეფიციარის სახელი, გვარი ----------

დაბადების წელი ----------

პირადი ნომერი ----------

მისამართი ----------

ვაუჩერის გაცემის თარიღი ----------

ვაუჩერის მოქმედების ვადა ----------

ქვეპროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების მოცულობა —— ლარი.

გავეცანი პირობებს და ვაუჩერი მივიღე უფასოდ:

ხელმოწერა: ბენეფიციარი

ან წარმომადგენელი ----------

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტრო

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა
გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფა

ბ

სოციალური ვაუჩერი №---



ბენეფიციარის სახელი, გვარი ----------

დაბადების წელი ----------

პირადი ნომერი ----------

მისამართი ----------

ვაუჩერის გაცემის თარიღი ----------

ვაუჩერის მოქმედების ვადა ----------

ქვეპროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების მოცულობა —— ლარი

აუცილებლად გაეცანით უკანა გვერდს!

დაწესებულება:

სამინისტროს უფლებამოსილი პირი

ბ.ა.

დანართი №4

„დამტკიცებულია"
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის 2014 წლის 31-12
№12/155 ბრძანებით

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ (შემდგომში–შემსყიდველი) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელებაში მონაწილე დაწესებულებას (შემდგომში–მიმწოდებელი) ბენეფიციარებისათვის გაცემული სოციალური ვაუჩერის საფუძველზე სავარძელ–ეტლების ღირებულება აუნაზღაურდება წინამდებარე წესისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

მიმწოდებლის მიერ ბენეფიციარისთვის სავარძელ–ეტლის გაცემა ხორციელდება შემსყიდველის მიერ გაცემული სოციალური ვაუჩერის საფუძველზე. ბენეფიციარის იდენტიფიცირება ხდება პირადობის ან დაბადების მოწმობით.

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სავარძელ-ეტლების მიწოდება, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს არანაკლებ შემდეგ მოთხოვნებს:

- უნდა იყოს კეცვადი;
- უნდა ჰქონდეს მეტალის ჩარჩო, იდაყვების ფიქსირებული საყრდენი, ფეხების მოძრავი საყრდენი;
- საზურგე და დასაჯდომი დაფარული უნდა იყოს ხელოვნური ტყავით ან გამძლე ნაჭრით (60 000 მარტინდალი);
- ეტლის მაქსიმალური დატვირთვა 120 კგ. (20 კგ-დან 120 კგ-მდე ბენეფიციარის მოთხოვნის შესაბაისად);
- ბენეფიციარის მოთხოვნის მიხედვით სავარძელ-ეტლი უნდა იყოს აღჭურვილი სანიტარული მოწყობილობით (სათლი).

ბენეფიციარს სავარძელ-ეტლის ღირებულება დაუფინანსდება ვაუჩერში მითითებული ფიქსირებული თანხით. იმ შემთხვევაში, თუ ქვეპროგრამის ბენეფიციარი აირჩევს სავარძელ-ეტლს, რომლის ღირებულება აღემატება ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ღირებულებას (300 ლარი), სამინისტრო უზრუნველყოფს მის დაფინანსებას ქვეპროგრამით გათვალისწინებული ტარიფის შესაბამისად, დარჩენილ ნაწილს დაფარავს ბენეფიციარი, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა საქონლის ღირებულება ნაკლებია ქვეპროგრამით გათვალისწინებულ თანხაზე, სამინისტრო უზრუნველყოფს მის დაფინანსებას წარმოდგენილი ღირებულებით.

სავარძელ–ეტლის გაცემის შესახებ ჯამური ინფორმაცია აისახება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში მიწოდებული საქონლის ჩამონათვალში (N3 დანართის შესაბამისად).

საქონლის მიღება-ჩაბარება განხორციელდება მიმწოდებელს, სოციალური ვაუჩერის მფლობელს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლებამოსილ პირს შორის, რაზედაც ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი (საქონლის დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის, საერთო ღირებულების, საქონლის ტექნიკური მახასიათებლებისა და მწარმოებელი ქვეყნის მითითებით) 3 ეგზემპლარად, რომლის თითო ეგზემპლარი რჩება მხარეებს, ხოლო მესამე წარედგინება შემსყიდველს.

მიმწოდებელმა შემსყიდველს ანაზღაურებისათვის უნდა წარუდგინოს:

1. წერილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის სახელზე სოციალური ვაუჩერით მიწოდებული საქონლის ანაზღაურების შესახებ.
2. ანგარიშ-ფაქტურა ან/და სასაქონლო ზედნადები მიწოდებული საქონლის დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით;

3. სოციალური ვაუჩერის ასლი;
4. სოციალური ვაუჩერის მფლობელის პირადობის ან დაბადების მოწმობის ასლი;
5. მიღება-ჩაბარების აქტი სოციალური ვაუჩერის მფლობელსა და მიმწოდებელს შორის;
6. მიმწოდებელსა და სამინისტროს შორის გაფორმებული მიღება - ჩაბარების აქტი (მიწოდებული საქონლის ჯამური ღირებულება);
7. მიწოდებული საქონლის ჩამონათვალი დანართი 3–ის შესაბამისად.

მიმწოდებელმა საქონლის გაცემა უნდა უზრუნველყოს სოციალური ვაუჩერის წარდგენიდან არა უგვიანეს 14 სამუშაო დღისა.

ანგარიშგებისათვის სრულყოფილად წარმოდგენილი საბუთების საფუძველზე შემსყიდველი განახორციელებს ანგარიშსწორებას 14 კალენდარული დღის ვადაში.

დანართი 3

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 201-4 წლის 31-12 ბრძანებით N12/155

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადასაადგილებელი საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში

მიწოდებული საქონლის ჩამონათვალი № ------

ანგარიშგების პერიოდი 2015 წლის "----" -------------------დან "----" -------------------მდე

დაწესებულების დასახელება --

ხელშეკრულების ------------------

№	სოციალური ვაუჩერი		ვაუჩერში მითითებული თანხა	დასაფინანსებელი თანხა	ვაუჩერის მიმწოდებელთან წარდგენის თარიღი	სახელი, გვარი	მისამართი	პირადი ნომერი ან დაბადების მოწმობის ნომერი	სავარძელ - ეტლის გაცემის დოკუმენტი (მიღება-ჩაბარების აქტი)		შენიშვნა
	ნომერი	თარიღი							ნომერი	თარიღი	
1	2	3				4	5	6	7	8	9

დაწესებულების ხელმძღვანელი: ------------------

მთ. ბუღალტერი: ---------------